

დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის
სამეურვეო საბჭოს სხდომაზე
ოქმი N2. 14.06.2024წ

2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა

შესავალი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის მიზანია, განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით სკოლა უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს სკოლის ხედვას, მისიას და ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით. ჯგუფმა მოამზადა საჭიროებების შეფასება (SWOT ანალიზი) და ამ პროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამ პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული ჩატარებული გამოკითხვები სკოლის ბენეფიციართა და თანამშრომელთა კმაყოფილების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომელთა მონაწილეობით გადაიხედა არსებული ხედვა და მისია.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. სკოლის სტრატეგიული გეგმის და 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ონლაინშეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან. ჩატარებულ ონლაინ შეხვედრებს 200-ზე მეტი პირი დაესწრო. ჩატარებული შეხვედრების დასრულების შემდეგ სკოლის სტრატეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა მათი უკუკავშირი.

სკოლის მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა (შემდგომში – სკოლა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისთვის სრული ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად დაფუძნდა. იგი ასრულებს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას. ახორციელებს შესაბამის საქმიანობას. სკოლა არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დაფუძნდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში არსებული რეალურ სასწავლებელთა შორის თავისი მოკრძალებული ვალი მოიხადა მარიამ ყაუხჩიშვილის სახელობის ქალთა გიმნაზიამ... 1898 წელს სპეციალური რეკლამები იუწყებოდნენ: „მთავრობის ნებართვით ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, ალ. ჭყონიას სახლში, პირველი სექტემბრიდან დაარსდა ოთხკლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით. საჭირო ცნობის მისაღებად მსურველებმა უნდა მიმართონ ლიდა ანჯაფარიძეს, ან მარიამ ყაუხჩიშვილს. 1903 წელს მეორე ხარისხის კერძო სასწავლებელი მარიამ ყაუხჩიშვილის

ხელმძღვანელობაში გადავიდა. მისი პირადი შუამდგომლობითა და სკოლაში სასწავლო პროცესის სანიმუშოდ დაყენებით, 1908 წელს პროგიმნაზია პირველხარისხიანად გადაკეთდა. მას მიემატა მე-5 და მე-8 კლასები და სრული გიმნაზიის სახე მიიღო. მთავრობის კომისიამ სასწავლო აღმზრდელი პროცესი. სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო: იგი სრულყოფილებიან კერძო გიმნაზიად დაამტკიცა და მიანიჭა მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი. ეს პროგიმნაზია 1903 წლიდან თბილისის ქუჩაზე, პეტრე გოკიელის სახლში ფუნქციონირებდა. ხოლო შემდეგ, ქუთაისში მცხოვრები ქართველი კათოლიკეების დახმარებითა და ბანკიდან აღებული სესხით მარიამმა ქალაქის ცენტრში შეიძინა ორსართულიანი შენობა დიდი ბაღით. (ამ შენობაში საბჭოთა პერიოდში მოთავსებული იყო ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი). აი, რას იგონებს ფატი ხუნდაძე, რომელმაც აღნიშნული გიმნაზია დაამთავრა: „ არასოდეს დამავიწყდება ის დიდი სიხარული, კმაყოფილება და სწორედ ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება, რომელიც ვიგრძენი როდესაც პირველად შევდგი ფეხი ჩვენი, ამიერიდან რვაწლიანი სკოლის შენობაში. როგორც თავისი არქიტექტურული თავისებურებით, ისე სიდიდით და თავისი უზარმაზარი. შესანიშნავი ბაღით ეს შენობა განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყველა დანარჩენი, მის მეზობლად მოთავსებული ნაგებობიდან. მარიამ ყაუხჩიშვილის სახელობის ქალთა გიმნაზია ასეულობით ახალგაზრდამ დაასრულა. მისი პიველი გამოშვება 1912 წელს იყო. მაშინ სკოლა 35-მა მოსწავლემ დაამთავრა. იმ წლებში ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე იყო. მარიამ ყაუხჩიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებელი ქალთა სკოლას წარმოადგენდა, ვაჟებიც ჩარიცხა. სწავლას მოწყურებული ყველა ახალგაზრდისთვის ღია იყო გიმნაზიის კარი. შესანიშნავი ხელმძღვანელი და პედაგოგი გზას აცდენილი ახალგაზრდებისთვის წინ ციხე-სიმაგრე აღიმართებოდა და იტყოდა: „უნდა გამოვასწოროთ, არ უნდა მივცეთ ქუჩას, მისგან კარგი მოქალაქე უნდა გამოვიდეს.“ ამიტომ ქუთაისლები „მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლას“ მოსწავლეების გამოსასწორებელ სკოლას ეძახდნენ. ამ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. იგი ერთადერთი სკოლა იყო, სადაც საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ. სწორედ ამიტომ აფასებდა მას ქუთაისის ინტელიგენცია. სასწავლო წელი პირველ სექტემბერს იწყებოდა და მთავრდებოდა 31 მაისს. ტარდებოდა მისაღები და ჯგუფიდან ჯგუფში გადასაყვანი გამოცდები. გამოსაშვებ გამოცდებს იღებდა კომისია, რადგან ეს სასწავლებელი კერძო იყო, გამოსასვები გამოცდები ტარდებოდა ვაჟთა გიმნაზიაში ოფიციალური პროგრამით. გოგონები იცვამდნენ უჯრედოვანი ქსოვილის კაბებს, ზედ ყავისფერ წინსაფრებს იკეთებდნენ. ფონდში დაცულია ათეულობით ფოტოსურათი, რომლებიც ამ სკოლის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ასახავენ. ეს სურათები ერთგვარი რელიკვიაა და კარგად გვიჩვენებენ სახალხო განათლების საუკეთესო ტრადიციებს ჩვენს ქალაქში. მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლაში აღზრდის ორიგინალური მეთოდები იყო. აქ ბავშვებს კი არ სცემდნენ, არამედ ზრდიდნენ დარწმუნებით, პირადი მაგალითით, შთაგონებით. ამ სკოლიდან არცერთი მოსწავლე არ გარიცხულა. სასწავლებლიდან გარიცხვას ქ-ნი მარიამი პედსაბჭოს სისუსტედ თვლიდა. კარგი სწავლისა და დისციპლინისათვის ბავშვებს აჯილდოვებდნენ წიგნებით, მიჰყავდათ თეატრში. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ დამყარებული მოსწავლეთა მშობლებთან. უფროსი კლასის მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე კითხულობდნენ რეფერატებს, მართავდნენ დისკუსიებს, აწყობდნენ ექსკურსიებს, უშვებდნენ ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალს. გიმნაზიას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. რუს, ევროპულ და ქართველ კლასიკოსთა ჩინებულ გამოცემებს გვერდს უმშვენებდა საბავშვო ლიტერატურის იშვიათი ფონდი. მარიამ ყაუხჩიშვილის სახელობის ქალთა კერძო გიმნაზიამ იარსება 1921 წლამდე. ამის შემდეგ სკოლამ ბევრჯერ განიცადა რეორგანიზაცია: ჯერ შრომის სკოლად გადაკეთდა, 1938-1939 სასწავლო წლიდან მე-17 სასუალო სკოლად, 2006 წლიდან №17 საჯარო სკოლად. 1983 წლიდან სკოლამ შენობა შეიცვალა. ამჟამად იგი მდებარეობს ნიკეას ქუჩაზე №44-ში.

I თავი. სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები

მისია

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის მისიაა, მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ისეთი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელიც ხელს შეუწყობს განათლებული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას, საერთაშორისო ურთიერთობებით მარტივად შეძლონ ცვალებად სამყაროში ადაპტირება და უზრუნველყოს მოსწავლეების სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით.

სკოლის ხედვა

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სკოლა. სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელი შეუწყოს მოაზროვნე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, თავისუფალი, აქტიური თაობების აღზრდას და იგი 2030 წლისთვის იმერეთის რეგიონში იქნება ერთ-ერთი სკოლა რომელსაც ექნება მუდმივი გაცვლითი სასკოლო და პროფესიული პროგრამები ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სკოლებთან. რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი, თავისუფალი, პროფესიონალი და ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბებას.

ღირებულებები

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის ღირებულებებია:

სამართლიანობა

გუნდურად მუშაობა

პროფესიული ზრდა და განვითარება

მიუკერძოებლობა

ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა

გამჭვირვალობა

სკოლის ლოგო:



სკოლის ლოგოს განმარტება:

- საქართველოს დროშის ლოგოზე დატანით ჩვენ ხაზს ვუსვამთ ჩვენი სკოლისთვის ეროვნული ღირებულებების მნიშვნელობას;
- სკოლის ლოგოზე გამოსახული ბუ, სწავლის გონიერების და სიბრძნის სიმბოლო
- ლოგოზე გამოსახული მოსწავლეები რომელთაც ხელში უჭირავთ ლამპარი აღნიშნავს, რომ ცოდნა სინათლეა.
- ლოგოზე გამოსახული წიგნი აღნიშნავს წიგნიერი თაობის აღზრდის სიმბოლოს.

არსებული სიტუაციის ანალიზი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა ახლად რეაბილიტირებულია, სკოლის ინფრასტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლაში შექმნილია პოზიტიური, წამახალისებელი ინფრასტრუქტურა. მოსწავლეებს მოსწონთ და უფრო ხილდებიან მას. სკოლაში შემოსული ნებისმიერ ადამიანი აღნიშნავს ამას. მშობლები სკოლის შერჩევას ერთ-ერთ ფაქტორად, სწორედ ამას ასახელებენ. სკოლა აღჭურვილია უახლესი საინფორმაციო ლაბორატორებით, ბიბლიოთეკით, ღია და დახურული სპორტული მოედნებითა და უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემოთი. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული შედეგების გათვალისწინებით. სკოლაში პრიორიტეტია მოსწავლეზე ზრუნვა და სწავლა-სწავლების მეთოდები. სასწავლო პროცესი არის 21-ე საუკუნის მოსწავლის საჭიროებებზე და უნარებზე მორგებული.

სკოლა თანამშრომლობს სხვა საჯარო სკოლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან (საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის მიერ დაფუძნებულ ცენტრებთან: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან და სხვა), სახელმწიფო უწყებებთან - ფინანსთა სამინისტროსთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა. გარე პარტნიორებს სკოლა განიხილავს როგორც შუამავალს მათსა და სკოლის ბენეფიციარებს შორის. სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა მიზნად ისახავს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას. ამ მიზნით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სახელმწიფო უწყებებთან, უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა ბაზარზე იკავებს მნიშვნელოვან და კონკურენტუნარიან პოზიციას, რაც გამოწვეულია, მისი მრავალმხრივი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესითა და სხვა აქტივობებით.

ბიბლიოთეკა - ბიბლიოთეკა მოსწავლეებს და თანამშრომლებს სთავაზობს სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის კოლექციას, ასევე ელექტრონული წიგნებისა და ჟურნალებს და სამკითხველო დარბაზს.

ლაბორატორიები - სკოლა არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები. ყველა მოსწავლე, თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, გადის პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რესურსის გამოყენებას. ლაბორატორიებში მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს შესწავლილი პროგრამის გაღრმავებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას. სწორედ, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოების სინთეზის საფუძველზე, ლაბორატორიების სამომავლო განვითარება ითვალისწინებს სკოლის საჭირო ტექნიკით აღჭურვას, რაც გაუადვილებს მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გაღრმავებას.

სპორტული მოედანი - სკოლის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პრიორიტეტია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ განვითარებას. ღია სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზები სადაც სკოლის სპორტული აქტივობები ტარდება, სწორედ ამ მიზანსემსახურება.

სამედიცინო ოთახი ემსახურება სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს. მაღალკვალიფიციური ექიმი ნებისმიერ მსურველს უწევს კონსულტაციასა და საჭირო სამედიცინო დახმარებას.

რესურს ოთახი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის შექმნილი გარემო, სადაც მოსწავლეები იღებენ საკუთარ საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებას.

ადამიანური რესურსი სკოლა ამყობს თავისი მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, რომელიც თვითგანვითარებაზე არიან ორიენტირებულნი. სკოლა ზრუნავს თანამშრომლებისა და მოსწავლეთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესებაზე.

SWOT ანალიზი

SWOT ანალიზი განსაზღვრავს:

იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

განხორციელებას შეუწყობს ხელს;

იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს

მივაღწიოთ; ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან

რისი უკეთესად გამოყენება მომავალში შესაძლებელია;

აღმოაჩენს იმ საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილება დროულად უნდა მოხდეს.

SWOT ანალიზი

SWOT ანალიზი განსაზღვრავს:

იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს;

იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს მივაღწიოთ;

ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან რისი უკეთესად

გამოყენება მომავალში შესაძლებელია;

აღმოაჩენს იმ საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილება დროულად უნდა მოხდეს სიძლიერე

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
პროფესიონალიზმი გუნდურობა მზრუნველი გარემო მასწავლებელთა პროფესიონალიზმი სიახლეების მიმდებლობა თანამშრომლობა რეაბილიტირებული ფიზიკური გარემო სკოლის ისტორიული წარსული წინსვლასა და სიახლეებზე ორიენტირებული მენეჯმენტი	მშობელთა ჩართულობა აკადემიური პერსონალის მხრიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სიმცირე ახალი პროგრამებისა და კლუბების დანერგვა უსაფრთხო გარემოს გაძლიერება გაცვლითი პროგრამების ნაკლებობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირი უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა წარმატებული კურსდამთავრებულები	კონკურენტული გარემო საკანონმდებლო ცვლილებები არაპროგნოზირებადი გარემო

სტრატეგიული მიმართულებები:

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.
- პროფესიული პროგრამების განხორციელება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

- ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას. ხარისხზე ორიენტირებულ სკოლაში მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, არამედ ცოდნის გააზრების, გამოყენების, დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანისა და შეფასების გაკეთების უნარ-ჩვევებს. მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება არის სრულყოფილი და ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი							
		2023 -2024	2024 -2025	2025 -2026	2026 -2027	2027 -2028	2028 -2029	2029 -2030	2029 -2030
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა								
	სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა								
	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება								
	აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა								

2. ადამიანური რესურსის განვითარება

- პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;
- აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა;
- ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება.

ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია კვალიფიციური, მომზადებული და პროფესიულად მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლის გარეშე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ამის განსახორციელებლად სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას, რაშიც მოიაზრება ტრენინგები, ვებინარები, სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა და ა.შ.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
ადამიანური რესურსის განვითარება	პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება							
	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა							
	ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება							

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შეცვლა;
- საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება;
- ფინანსური მდგრადობა.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა, სასკოლო ინვენტარით და საჭირო რესურსებით სასწავლო დაწესებულების უზრუნველყოფა, მძლავრი საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარება, ლაბორატორიების გამდიდრება და სხვა. სკოლაში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
		-	-	-	-	-	-	-
		2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება							
	საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შეცვლა							
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება							
	ფინანსური მდგრადობა							

4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

სკოლაში სასწავლო პროცესი და ზოგადად აღზრდის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და ნდობის პრინციპებს. მოსწავლე უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. სკოლაში შექმნილი უნდა იყოს ყველა პირობა, რათა დაკმაყოფილებული იყოს სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნები. სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების მკაფიოდ შემუშავებული სისტემა, რომელშიც მოიაზრება მანდატურები, დარაჯები, ვიდეო კამერები, სახანძრო უსაფრთხოებისა ნორმების დაცვა, პრევენციული ღონისძიებები. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აუცილებელი ცოდნა კრიტიკულ სიტუაციებში ქცევის შესახებ და განუვითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
		-	-	-	-	-	-	-
		2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება							

5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში;
- მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.

სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება. სასკოლო საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, წარმატებებსა და ინიციატივებზე. სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, რისი აუცილებელი პირობაცაა მათი ინფორმირებულობა.

სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სწორედ ამიტომ, სკოლის მმართველობითი კოლეგიური ორგანოების შემადგენლობა დაკომპლექტებულია როგორც სკოლის თანამშრომლების, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისაგან.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა							
	მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში							
	მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა							
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა							
	მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება							

6. მოსწავლეთა მხარდაჭერა

- მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა;
- დამატებითი სერვისების განვითარება;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ნაყოფიერი სასწავლო პროცესის ფორმირებისთვის აუცილებელია მოწესრიგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ. სკოლის მიზანია პირველ რიგში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, მოიპოვოს მისი ნდობა და შეუქმნას მას მიმღებლობითი გარემო. მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით ხდება სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და შემდგომში მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების წახალისება.

მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიცემა. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა კლუბებისა და დამატებითი მომსახურების შეთავაზება, სხვადასხვა სიახლეების შეთავაზება სასკოლო საზოგადოებისათვის.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
		-	-	-	-	-	-	-
		2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
მოსწავლეთა მხარდაჭერა	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა							
	დამატებითი სერვისების განვითარება							
	მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება							
პროფესიული განათლების დანერგვა	პროფესიული პროგრამის დამატებისთვის ავტორიზაციის გავლა და პროგრამის განხორციელება							

2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა

7. ორგანიზაციული განვითარება

- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სკოლის ცნობადობის გაზრდა;
- სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება.

პარტნიორულ ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის განვითარებისთვის; პირველ რიგში, მნიშვნელოვანია პარტნიორობა სკოლის შიგნით, რათა ერთად მოხდეს პრობლემების გადაჭრა დასახული მიზნის მისაღწევად.

მეორე მხრივ, კონკურენტუნარიან გარემოში პარტნიორობა საჭიროა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სკოლებთან, კერძო პირებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, უნივერსიტეტებთან, თემთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომელშიც სკოლის წარმატებით დაინტერესებული ყველა პირი მიიღებს მონაწილეობას.

ამასთან, აუცილებელია მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ და მომავალი ავტორიზაციის პროცესისათვის სკოლაში მოქმედი მექანიზმების დახვეწა.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
ორგანიზაციული განვითარება	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა							
	სკოლის ცნობადობის გაზრდა							
	სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება							